№ 205 სეკტემბერი 29, პარასკევი 1889 სეკტემბერი 29, პარასკევი № 205

# ივერია

გაზეთის ღირს

| თვეები | მან. კ. | თვეები | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—13)

## ახალი ამბავი

*** პირველ იანვრიდგან სრულებით შეიცვლება ტფილისში წესი ცხენისა და ეტლების გადასახადისა. აქამომდე ქალაქი ახდევინებდა სხვა-და-სხვა ხარისხის ცხენზე და ეტლზე სხვა-და-სხვა ხარჯს: „პოვოსკის“ ცხენი იხდიდა წელიწადში ერთს მანათს, ფურგუნისა და ფაიტონისა — სამს მანათს, საჯდომი ცხენი — ხუთ მანათს, საშინაო ეკიპაჟის ცხენი — ერთს თუმანს. ამასთანავე ახდევინებდნენ ცალკ-ცალკე თვით ეტლებს — „პოვოსკა“ იხდიდა ხუთს მანათს და ცხრამეტ შაურს, აგრეთვე დანარჩენი ეტლებიც ღირსების კვალობაზე. პირველ იანვრიდგან ეტლებს აღარ გადახდებათ ხარჯი. ხოლო ქალაქი, თანახმად მთავრობის გარდაწყვეტილებისა, აპირებს ეტლების გადასახადი ცხენის ბაჟზე გადაიტანოს, იმ პირობით კი, რომ თითო ცხენზე გამოერთვათ არა უმეტეს ერთის თუმნისა.

*** მოსკოვი: წელს მოსკოვის უნივერსიტეტში რვა ქართველმა დაასრულა კურსი: ოთხმა — იურიდიულს ფაკულტეტზე, სამმა — ფილოლოგიურზე, ხოლო ერთმა საექიმო ფაკულტეტზე. ამათგან ექვსი მოსკოვში დარჩა სახელმწიფო ეგზამენების დასაჭერად, ხოლო ორი-კი საქართველოში უკვე გამოემგზავრა, რადგანაც ესენი უნივერსიტეტის ძველ წესდებას მიჰყვნენ, რომლის ძალითაც სტუდენტი მაისში ათავებდა კურს. ამ წელს მოსკოვის უნივერსიტეტში პირველს კურსზე ხუთი ქართველი ყმაწვილი შევიდა. ამათში ორი იურიდიულს ფაკულტეტზე, ორი საექიმოზე და ერთიც მათემატიკურზე. აგრეთვე მოგვემატა წელს ორი ქართველი ფარმაცევტი. სულ მოსკოვის უნივერსიტეტში ამ ჟამად 20 ქართველია ფარმაცევტიანად. პეტროვსკო-რაზუმოვის სამეურნეო აკადემიაში 7 ქართველი სტუდენტია. მოსკოვში მყოფი მოსწავლე ქართველები გულითადს მადლობას უძღვნიან ბ-ნს ილია წინამძღვრიშვილს, რომელმაც «მოსკოვში მოსწავლე ქართველების ბიბლიოთეკას» შესწირა მისგანვე შედგენილი წიგნი „ვაზის მოშენება“.

*** სამეურნეო გამოფენის გამგე კომიტეტის განკარგულებით ყველა სასწავლებლის შეგირდებს, არა უმეტეს ოც-და-ათის ყმაწვილისა თითო ჯერზე, გამოფენაზე უფასოდ უშვებენ, მაგრამ შეგირდები რიგიანად ვერ ათვალიერებენ გამოფენას, რადგანაც ხალხისაგან ტევა აღარ არის. ამიტომ გამგე კომიტეტი კარგს იზამდა მოსწავლეთათვის ორიოდე დღე დაეთმო ოქტომბრის დამლევს, რათა გულ-დადებით დაათვალიერონ გამოფენა.

*** სოფ. ხელთუბანი (გორის მაზრა): წელს ჰირნახულის მოსავალმა დაგვანაღვლიანა: პურს მახობელი და ღვარძლი ურევია, ვენახებს-კი წინანდელის ნახევარიც არ ესხა, რადგანაც შარშანდელ სუსხიან ზამთარში ბევრს ვაზი დაუმარხავი დარჩენია. ამ გაჭირებას ისიც დაერთო, რომ ამ ჟამად მთელს სოფელში საშინელი ცხელება გაჩნდა. ოჯახი არ მოიპოვება, რომ ორი-სამი ავადმყოფი არა ჰყავდეს. ორი კაცი კიდეც იმსხვერპლა ამ ავადმყოფობამ, მაგრამ მაზრის ექიმისა და ფერშლის ხსენება არსად არის. ამბობენ, ამ გვარი გახშირებული ავადმყოფობა აქეთ მხარეს ჯერ არა ყოფილაო. თუმცა გორი ხელის მიწვდომაზედ არის, არა გვგონია, რომ ექიმმა მალე მოგვასწროს, რადგანაც მთელ გორის დიდს მაზრას მხოლოდ ერთი ექიმი და ორი ფერშალი ჰყავს.

*** გორი: წელს გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობს 264 მოწაფე. ამათში 120-მდე ერის კაცთა შვილნი არიან; კეთილშობილთა წოდებიდგან სულ ხუთი-ექვსი იქნება, დანარჩენნი-კი გლეხ-კაცთა შვილნი არიან. სასიამოვნოა, რომ ქართლელი გლეხ-კაცობა დღეს განათლებას ძალიან ეტანება და არ უფრთხის ხარჯს.

*** ქუთაისი: მივაქცევთ ყურადღებას, ვისაც ჯერ არს, რომ საუკეთესო ალაგას, დიდის ქუჩის მახლობლად, არის სახლი ცუდის ზნის დიაცთა, სადაც მუდმივი, განუწყვეტელი ლოთობა, ღრიანცელი, ალიაქოთი და ჩხუბია. ამ სახლს ზედ აკრავს ორი უმთავრესი ქუჩა, ამ ორის ქუჩის შუაა მომწყვდეული ეს სახლი და გარეშემო სამიკიტნოები ახვევია. აქვეა ახალი შენობა სასულიერო სასწავლებლისა, გარშემო სდგანან მოსწავლე ახალგაზდობა და პატიოსანი მოსახლენი და აქვე ახლოა საზოგადო სასეირნო ბაღი. ამ დიაცთა [illegible] დის და გამვლელ-გამომვლელთ მოსვენება არა აქვთ. ძალიან კარგს იზამენ, რომ საზოგადოდ პატიოსან მოსახლეთა და კერძოდ მოსწავლე ახალგაზდობის ზნეობის დაცვისათვის ეს სახლი ქალაქის განაპირა ადგილას გადაატანინონ და სამიკიტნოებიც თან გააყოლონ.

*** სოხუმი: აგერ ორს თთვეზე მეტია, რაც აქეთკენ წვიმა არა ყოფილა. ამიტომ სიმინდის მოსავალს ძალიან ნაკლებს მოველით. ღვინის მოსავალი-კი, განსაკუთრებით იზაბელასი, უხვი იქნება. აქვე ამ ზაფხულს საშინლად მძვინვარებდა ციებ-ცხელება. რუსეთიდგანა და უცხოეთიდგან გადმოსახლებულნი ისე შეშინდნენ, რომ ბევრი მათგანი სამშობლოში დაბრუნებას აპირობს.

*** ფრონის ხეობა: აქეთ ამ შემოდგომის პირზე ბევრი სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გაჩნდა. ხშირია უფრო ციება. ალაგ-ალაგ მოარულმა ავადმყოფობამაც იჩინა თავი. სოფელ სადოლაშენში ერთს გლეხ კაცს მოუკვდა ოთხი ყმაწვილი, როგორც ამბობენ, ყელ-ჭირევისაგან.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ძიძეთი. ძიძეთი შორავს ქ. ქუთაისს ოც-და-ხუთის ვერსის მანძილზე და ძევს მდ. ცხენის-წყლის მარცხენა ნაპირზე. ამ სოფელში ითვლება სამოცი მოსახლე მკვიდრი, რომელთა [illegible] შეადგენს მიწის მუშაობა. მთელს სოფელში ათიოდე კაცია, რომლებიც დურგლობით უძღვებიან ოჯახობას. ამ უკანასკნელ დროს მიწის მუშათა ნივთიერი მდგომარეობა ჩვენში ძლიერ დაეცა. ამისი მიზეზი ნიადაგის გაღარიბებაა, რომელიც ეხლა ისე არ აჯილდოებს მუშის შრომას, როგორც ამ ათიოდე წლის წინად, როცა ნიადაგი უფრო მსუქანი და ნოყიერი იყო. რადგან ეს სოფელი მდინარის-

## ფელეტონი

არჩილა.

(კასეთში გაგონილი და ჩაწერილი ხალხური არაკი ი. ი. გაჩნაძისაგან)

ზღაპარ იყო, ზღაპარ, იყო
შაშვს ჩიტი მომკვდარიყო;
მაღლა შავსდე, გამხმარიყო;
დაბლა დავზდე, დამპალიყო;
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში ლაღე იყო;
ასმა კაცმა ვერ შაჭამა,
ერთი კაცის ლუკმა იყო*).

იყო და არა იყო-რა, იყო ერთი ხელმწიფე. იმას ერთი ცოლი ჰყავდა და შვილი-კი არ უჩნდებოდათ. დაბერდა ეს ხელმწიფე და ძალიან დარდობდა, რომ შვილი არ უჩნდებოდა. ღმერთს ეხვეწებოდა ხოლმე: „ღმერთო, ერთი შვილი მომეცი, რომ მემკვიდრედ დარჩეს ჩემს სახელმწიფოშიო“. ბევრი ეხვეწა ღმერთს, მაგრამ მაინც არ გაუჩნდა შვილი. ერთხელ კიდევ სთხოვა ღმერთს წმინდის გულით შვილი და თან ფიცი დასდო, რომ ოღონდ ერთი შვილი მომეცი და სამი წელიწადი გლახად ვივლიო. მართლაც, ღმერთმა უსმინა თხოვნა, დაორსულდა იმისი ცოლი და გაუჩნდათ ვაჟიშვილი. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა, რომ თხოვნა შეუსრულდა, და ღმერთს დიდი მადლობა შესწირა. დაუწყო ამ ყმაწვილს ზრდა: ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. ცოტა რომ წამოიზარდა, მამამ მაშინვე სასწავლებელში მისცა თავისი შვილი და თითონ-კი წავიდა აღთქმის ასასრულებლად. ჩაიცვა გლახის ტანისამოსი, გამოემშვიდობა ცოლ-შვილს, წავიდა სხვა ქალაქში, რომ არავინ მიცნოსო, და იქ დაიწყო გლახობა.

ხელმწიფე წავიდა თუ არა, ცოტა ხნის შემდეგ ერთმა კაცმა დაიწყო ხელმწიფის ცოლთან სიარული. ხელმწიფის შვილი რომ წავიდოდა სასწავლებელში, ის კაცი მაშინ მოვიდოდა ხოლმე ხელმწიფის ცოლთან. ერთხელ უყარაულა შვილმა და რაღაც ეჭვი აიღო. ერთხელ შვილმა უთხრა: დედა, ვინ არის ეგ კაცი და რისთვის მოდის ხოლმე აქაო. დედას ეს სიტყვა ძალიან ეწყინა და ჩაიდო გულში, რომ უეჭველად უნდა მოვკლა, მაგან როგორ გამიბედა ეს სიტყვაო. ერთ დღეს სადილად წამალი მოამზადა, უნდა საჭმელზედ მოეყარა და მოეკლა თავისი შვილი.

ამ ხელმწიფეს ერთი გულთ-მისანი რაში ჰყვანდა და ეს რაში, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო, სუყველაფერს გაიგებდა ხოლმე. ხელმწიფის შვილს ეს რაში ძალიან უყვარდა და როდესაც სასწავლებლიდამ გამოიელიდა, უეჭველად უნდა შესულიყო რაშთან სანახავად. შევიდოდა ხოლმე, ნუშ-ქიშმიშს დაუყრიდა, თვალებზედ ხელს გადაუსვამდა და ისევ გამოვიდოდა.

ერთ დღეს კიდევ ჩვეულებრივ გამოიარა, რაშს ნუშ-ქიშმიში დაუყარა, თვალებზედ ხელი გადაუსვა და ჰნახა, რომ რაში სტიროდა. ჰკითხა: „რადა სტირიო?“. რაშმა უპასუხა:

— ეჰ, რაღა რად ვსტირი, დედაშენს შენთვის საწამლავი დაუმზადებია, საჭმელზე უნდა მოგიყაროს და მოგწამლოს. თუ შენის თავის სიცოცხლე გინდა, რაც დღეს დედაშენმა საჭმელი მოგიტანოს, ნუ შესჭამ და სიკვდილს გადარჩებიო.

ხელმწიფის შვილმა მადლობა გადუხადა რაშსა და საჭმლის უჭმელობას დაჰპირდა.

მართლაც, მივიდა ეს ვაჟი შინ და დედამ თვალთ-მაქცობით დაუწყო ლაპარაკი, რომ აზრი არა აილო-რა. დასხდნენ სადილზედ პურის საჭმელად. დედამ დაუსხა კერძი და მიაწოდა თავის შვილს. ჩამოართვა შვილმა კერძი და დაიდგა წინ. ნახა დედამ, რომ არა სჭამდა, და ჰკითხა, რატომ არა სჭამ, შვილო, პურსაო. შვილმა მიუგო: არა მშიან, დედაო. თუმცა ბევრი ეხვეწა დედა, მაგრამ მაინც გემოთი არა ნახა-რა. დედამ ნახა, რომ ამით ვერა გააწყო-რა, და მოიფიქრა: კარებში ორი დიდრონი წისქვილის ქვები ჩამოჰკიდა, შემოვა თუ არა, ეს ქვები ჩამოცვივდება, დაეცემა და მოჰკლავსო.

მეორე დღესაც გამოიარა ამ ვაჟმა თავის რაშისკენ და ნახა, რომ კიდევ ტიროდა. ჰკითხა: „რა გატირებსო“.

— ეჰ, რაღა რა მატირებს, დედაშენს შენთვის ისეთი მახე დაუგია კარებში, რომ შეხვალ თუ არა, ჩამოცვივა, თავში დაგეცემა ქვები და მოგკლავს. თუ რომ შენი თავის სიცოცხლე გინდა, მიხვიდე თუ არა კარებთან, ერთი გრძელი ჯოხი აიღე, ქვები შეატოკე, ჩამოცვივა და მერე ისე შედი სახლშიო.

ამაზედაც დიდი მადლობა გადუხადა ვაჟმა და წავიდა შინ. მიუახლოვდა და თუ არა სახლს, აიღო ერთი გძელი ჯოხი, მივიდა კარებთან, დაატოკა ის ქვები, ჩამოყარა და ისე შევიდა სახლში. რასაკვირველია, დედას ძალიან ეწყინა, რომ ვერ შეუსრულდა თავისი განზრახვა.

გაჯავრებული ერთ დღეს დაჯდა და ხელმწიფეს წიგნი მისწერა: „შე საცოდავო, რისთვის იკლავ თავს და არ მოხვალ. შენცა გგონია, ვითომ შვილი გყავს: ამის ამბები რომ გაიგო, ერთ დღეს არ აცოცხლებ. ისეთი ცუდი შვილი გამოგვივიდა, რომ სულ მთელი სახელმწიფო შეგვირცხვინა. გაგარეულდა, არც დღე შემოდის შინ და არც ღამე. მოდი ჩქარა და მამაშორე აქედამ, თორემ ან მე ვიქნები და ან ეს. ერთის სიტყვით, თუ ეს ჩვენს სახელმწიფოში იქნება, მე თავს მოვიკლავო“.

ხელმწიფემ ეს წერილი მიიღო თუ არა, რასაკვირველია, ძალიან შეწუხდა: ვაი, ოჯახო დაქცეულო, რა იმედი მქონდა და რა მომივიდაო! თუმცა ჯერ სამს წელიწადს აკლდა, მაგრამ იმ წერილის შემდეგ რაღას დარჩებოდა, მაშინვე ადგა და წამოვიდა შინისკენ. ისეთი გაჯავრებული მოდიოდა, რომ სულ იმას ამბობდა გზაში: მივალ თუ არა შინ, მაშინვე მოვკლავ

*) ამ ზღაპრის მთქმელმა პირველად ეს ლექსი სთქვა და შემდეგ დაიწყო ზღაპარი.

კენ არის დაქანებული, ამისათვის როცა მიწა მოიძრის ხოლმე, ყველა იქით მიაქვს წვიმა-ავდრებს, აი ეს არის მიზეზი ნიადაგის გათხელებისა. ამ ნაირად ჩვენებურ გლეხს დღითი-დღე ეცლება ხელიდგან ერთად-ერთი უმთავრესი სახსარი ცხოვრებისა. წელს მაინც, წინა წლებთან შედარებით, მოსავალს ძლიერ ცუდი პირი უჩანს. არც გასაკვირველია, რომ წელს ჩვენებური გლეხები თავიანთ ნაშრომ-ნაოფლარიდგან ხელ-დაწმენდილი დარჩნენ. ჯერ იყო-და, თესვის დროს ხანგრძლივმა გოლვამ შეუშალა ხელი, მერე ივლისის პირველ რიცხვიდგან დაწყებული ვიდრე შუა ივლისამდე—განუწყვეტელმა წვიმებმა, ასე რომ ეს ქაპან-წყვეტით გვიან ნათესი ყანები სანახევროდ გაუმარგლელი დარჩა. აქაურ ყანების შემყურეს ბევრს აუტირდება სიმშილით ცოლ-შვილი, რა-კი საქმე სარჩოს ყიდვაზე მიდგება. ან რითი უნდა იყიდოს სარჩო აქაურმა გლეხმა, როდესაც ფულის შემოსავალი წყარო არსაიდგანა სჩანს. ამ დრომდის ორიოდე გროშს ხე-ტყეს ჩამორჩებოდნენ ხოლმე, მაგრამ ეხლა, საუბედუროდ, ეს წყაროც მოესპოთ, რადგან მთა ისე უმოწყალოდ გაჩეხეს, რომ, სადაც ამ ათიოდე წლის წინად საშენ ხე-ტყეს შოულობდნენ, ეხლა იქ, ძლიერაც რომ გიჭირდეთ, უბრალო კომბალსაც ვერ იშოვით.

მიუხედავად ამისა აქაურნი მკვიდრნი მომჭირნეობასაც მოკლებულნი არიან. ისე დღესასწაული არ გაივლის, რომ თითოეულ გლეხისას, რა გინდ ღარიბი იყოს, ოციდგან ორმოც მანეთამდე არ დაიხარჯოს. მიცვალებულთა დასაფლავებაზე რაღა მეთქმის? აქ ორთა შუა რიცხვით ასიდგან ორას მანეთზე მეტიც დაიხარჯება ხოლმე. ხარჯს, ბატონო, თქვენი ჭირი წაუღია, მაგრამ უფრო სავალალო ის არის, რომ ასეთ უზომო სმა-ჭამას ხშირად დიდი უბედურებაც მოჰყვება ხოლმე. აქაურ მკვიდრთა ტაძრის დღეობა გახლავთ „ელიობა“ (ილიაობა), ოც მარიამობისთვეს; მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, ზოგიერთებს რომ „ელიობა“ გაუთენდათ. ერთმა ახალ-გაზდა თავ. ა-ნ ლ—ძემ ხანჯლით დასჭრა სოფ. ყუმის თავსმცხოვრები გლეხი ლაზარე ქუთათელაძე, ამ საქმის თაობაზე დ. ხონიდგან მოიწვიეს ექიმი, რომელმაც ჭრილობები მძიმედა სცნო. ამას გარდა აქვე იყო გამომძიებელი, რომელმაც დაწერილებით გამოიძია ეს საქმე, მაგრამ ახლა ამბობენ, ვითომ თავადს ოცი თუმანი უნდა მიეცეს დაჭრილისათვის და იმითი მოესპოს საქმის წარმოებაო. რამდენად მართალია ეს ამბავი, არ ვიცი, მაგრამ ის კი დარწმუნებით ვიცი, რომ წერილის ცოლ-შვილის პატრონი გლეხი ეხლაც ლოგინშია ჩავარდნილი და იმის გადარჩენას ყველა ეჭვობს.

ბევრი სხვა სავალალო აქვთ აქაურ გლეხებს. რა სოფელშიაც არ გაივლი, ყველგან შეხვდები ხოლმე გზებზე საყარაულოს, მაგრამ ჩვენში-კი არ არსებობს იგი, რაც ძლიერ საროვაა ოთხ-ფეხ საქონლის ქურდებისათვის, ნამეტნავად ეხლა, როცა ყველას, წლიურის სარჩო-საზადებელის შეკრების გამო, ცხენები და სხვა საქონელი უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული იალაღზე. ეხლა სახლების უყურადღებოდ მიტოვებაც საშიშო შეიქმნა. ერთ მახლობელ სოფელში თავი იჩინეს ღამის რაინდებმა, რომლებიც თავისუფლად შედიან სახლში და მიაქვთ რაც-კი ხელს მოჰყვებათ, ფული იქნება, თუ სხვა რამ ნივთი. ივლისში ერთი რაინდი ეწვია გლეხს მ—ძეს და ყუთიდგან ამოილო ხუთი თუმანი ფული, რომელსაც დაგირა-[illegible] ვებდა გლეხი.

ყველა ამ უბედურებასთან უგზოობამ ლამის სული ამოგვართვას. არ იქნა, გზების შეკეთებას არა ეშველარა. ან-კი როგორ უნდა შეკეთდეს ჩვენში გზები? სოფლის წარმომადგენელი ისე ყურს არ გაიბერტყავს და ფეხს არ დასძრავს, თუ თავის საკბილო არა ეგულება-რა.

დასასრულ არ შემიძლიან მკითხველს არ ვაუწყო ერთი სასიამოვნო ამბავიც. აქაურებსაც შეუგნიათ, თუ რა სასარგებლოა სწავლა-ცოდნა. როგორც იყო, დიდი ხნის გაჭირებისა და ვაების შემდეგ, ჩვენც ვეღირსენით სამრევლო სკოლას. ეს სკოლა თავისის ხარჯით გახსნა ადგილობრივმა მღვდელმა მ. ლ. გ—ძემ, მაგრამ ამას თანავე ვშიშობთ, რომ პირადობამ, რომელმაც საქმის დასაწყისშივე იჩინა თავი, არ ჩაგვიშალოს გამოწყობილი საქმე. ზოგი ხალხში ხმას ავრცელებს, რომ სკოლის ფული სამუდამოდ ბეგარად დაგაწვებათ კისერზე და თქვენი შვილები-კი ვერაფერს ისწავლიანო, და, თუნდაც რომ ისწავლონ, თქვენთვის მაინც უსარგებლონი იქნებიანო... ჩვენდა სასიხარულოდ, გაუნათლებელი გლეხიც-კი უკეთ არჩევს კეთილს ბოროტისაგან, უკეთ სცოდნია, თუ რა არის მისთვის საზიანო და რა არის სასარგებლო. ამიტომ ეს, ვითომ ხალხის სვებედზე ყოვლად უეცი მზრუნველი, თავიდგან მოიშორეს და კუდ-ამოძუებული გაისტუმრეს.

მერაბა

---

## მცირე შენიშვნა

ბ-ნმა ავტორმა „Письма о грузіи“-სამ (Сѣв. Вѣст. 2, 3 და 9 წიგნები) სამთავროს სასაფლაოს შესახებ შეითვისა აზრი გერმანელის მეცნიერის ბაიერნისა. როგორც მოგეხსენებათ, თავისს აზრს ბაიერნი ამყარებდა ფრიად სეჭვო მოსაზრებაზე: სამთავროს სასაფლაოში ბაიერნმა აღმოაჩინა, რომ მიცვალებულთა ძვლები გაფანტულნი და შერეულნი იყვნენ. ალაგ-ალაგ აირეულ-გაიცა ძვლებსაც იპოვა. აქედგან ის აზრი დაასკვნა, ვითომ ამ სასაფლაოს პატრონები ჰხოცავდნენ მიცვალებულთა პატივსაცემლად რამდენსამე ცოცხალსაც, სწვავდნენ და სჭამდნენო. ამ აზრის დასარღვევად „აი ისტორიის“ ავტორს მოჰყავს გრაფ უვაროვის აზრი. ავტორი ამბობს, რომ სხვა-და-სხვა კაცის ძვლების არევ-დარევა აიხსნება იმით, რომ საფლავი საოჯახო იყო, ახალს მკვდარს ჩაასვენებდნენ აკლდამაში, სადაც წინად მიცვალებულნი განისვენებდნენო (Древности, X, 10).

ამას მინდა დაუმატო აზრი ბ-ნ მუხისა, რომელმაც თავის შენიშვნაში (Mittheilungen der Wiener Antropologischen gesellschaft) გამოსთქვა ბაიერნის წინააღმდეგი აზრი, უარ-ჰყო კანნიბალიზმი, სამთავროს სასაფლაოს პატრონთა კაცის მჭამელობა. აკლდამა საოჯახო უნდა ყოფილიყო, რომ რამდენისამე კაცის ძვლები ერთს საფლავში აღმოჩნდნენო. ნახევარის ჩონჩხის პოვნა ერთს საფლავში და ნახევარისა მეორეში არ ამტკიცებს ანტროპოფაგობას, რადგან ამ გვარი ფაქტი შემოწმებულია გალტშადის სასაფლაოში და შემდეგაც ყოფილა ჩვეულება გულის ცალკე დამარხვისა. ამ კვალს ხანდახან ეხედავთ ეხლანდელ დიდკაცების ოჯახობაშიაცაო.

ბაიერნის აზრის წინააღმდეგია აგრეთვე ფრიად პატივცემული მეცნიერი არხეოლოგი და ანტროპოლოგი პროფ. მოსკოვის უნივერსიტეტისა ანუჩინი. თავის წერილში [1]) მეცნიერი პროფესორი, სხვათა შორის, სწერს, რომ ბაიერნმა, ვგონებ, თავი დაანება ამ შეუწყნარებელს მოსაზრებას და აღარ იხსენიებს მას შემდეგს წერილებშიო. საკვირველია, რომ ვინც წამოაყენა აზრი ქართველთა კაცის-მჭამლობის შესახებ და თავისს აზრს სამთავროს სასაფლაოს ძვლების გასინჯვაზედ ამყარებდა, იგი უკან გადგა და ჩვენში-კი იმისმა უკუგდებულმა აზრმა მომხრე მოიპოვა. ეს ხანა ანტროპოფაგობისა ყველა ხალხმა გაიარა, მაგრამ ბაიერნისა და იმის თანამოაზრეთა საბუთები ჯერ საკმარისნი არ არიან ამ აზრის მისაღებად ქართველთა შესახებ. ჯერ ამ შენიშვნით ვათავებთ საუბარს. შემდეგ-კი ვეცდებით «Письма о грузіи»-ს შესახებ რამდენიმე სხვა მოსაზრებაც განვუზიაროთ მკითხველს.

ა. ხახანაშვილი

[1]) Доисторич. археологія Кавказа.

---

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მასალა

(დასასრული*)

რამეთუ ვგონებ მაშინდელსა დაკლებულსა სიკუდილით და ტყვეობით ვიდრე სამოცი ათას სულამდე და უმეტესსაცა; ამას ჟამსა დაიკარგა ნაწილი მკლავი მთელი წმიდის დიდის მოწამის ევსტათისა, ხატი და სამკაული მეტეხისა, სამკაული სიონისა, სამკაული ალავერდისა, სამეფო გვირგვინნი, სკიპტრა და სხვანიც მრავალნი ძვირფასნი ნივთნი: უკეთუ რაჲ გარდარჩათ აუკლებელ და წაუღებელ ყიზილბაშთა. და გამოეტანათ ვისმე რამე იგიცა აიკლეს გამოქცეულთა იმერთა და სხვათა, აგრეთვე მეკობრეთა ქართველთა და მთის კაცთა. რამეთუ ჟამსა მას, ვიდრემდის ჰსცნობდენ წარსვლასა აღა-მამად-ხანისასა ქართლსა და კახეთსა შინა, თვით იკლებდენ ურთიერთთა, ვინ ვისცა მოერიის. არ არის სინიდისის მგრძნობელნი თვის შორის:

აწ ვიწყებ პირველისვე სიტყვისგან ჟამსა ამას, თუ რანი გარდამხდენ მე ღამესა მას სამშაბათსა ია სეკდემბერს, მოვიდა რა ჰამბავი მეფეთა დამარცხებისა და ქალაქსა შინა შესვლისა.

აიყარნენ ფამილია სამეფო და სხვანი მყოფნი დუშეთით. და წარვიდნენ მთიულეთს გავყევ მეცა მათ ქვეითად და წარვიყვანე დედაცა თქვენი ქვეითად შვილნო ჩემნო, შვილო ჩემო შიო! მაშინ ვერლა იყავ შენ წლისა ოთხისა და არა საკვირველ არს უკეთუ ქვეითად ვერ შემძლებელ იქმნებოდი სიარულსა და დედაცა ჩემი ბებია შენი ვერ შემძლებელ იქმნა ღამესა მას ქვეითად მოყოლად ჩვენდა მოხუცებულობის გამო, ამისთვის დაგიტევე თქვენ მას ღამესა დუშეთს და გავყევ მე ხალხსა მას დედით თქვენით, გათენდა რა მივედით ანანურს მუნ იყო საკვირველი ხილვა ხალხისა მის, რამეთუ ვერვინ იხილვიდა სხვასა რაჲმეს ეგოდენსა ერსა შინა გა-

*) იხ. „ივერია“ № 204.

---

ჩემ შვილს. რად მინდა ისეთი შვილი, რომელიც ჩემი შემრცხვენელი იქნებაო.

ერთს დღეს სწავლიდამ კიდევ გამოიარა ვაჟმა თავის რაშისკენ, ნუშქიშმიში დაუყარა, თვალებზედ ხელი გადაუსვა და ნახა, რომ კიდევ ტიროდა რაში. ჰკითხა: რა გატირებ სო?

— ეჰ, რაღა რა მატირებს, დედაშენმა ისეთი წიგნი მისწერა მამაშენს, რომ სულ თმების გლეჯით მოდის შინისკენ და მოვა თუ არა, მოკვლას გიპირობსო. თუ შენის თავის სიცოცხლე გინდა, მოვშორდეთ აქაურობას და წავიდეთ სხვა ქალაქშიო. მართლა გაუგონა ამ ვაჟმა, ხელმწიფე მოვიდა თუ არა, შეკმაზა რაში, ჩაიცვა ტანისამოსი, შეჯდა ზედ, ფანჯრის წინ სამჯერ გაიარა და გამოიარა და შესძახა მამას: „მიხდებაო?“ და გიხდებაო! „მაშ მშვიდობითაო“, შემოჰკრა რაშს ქუსლი და თვალის დახამხამებაში სადღაც გაჰქრა. მაშინვე მდევარი დაედევნა უკან, ბევრიც ეძებეს, მაგრამ კვალიც ველარ გაიგეს იმისი.

წავიდა ეს ვაჟი, ბევრი იარა, ცოტა იარა და მიადგა ერთ ორმოს. ამ ორმოდამ რაღაცა ღმუილის ხმა შემოესმა, მივიდა ახლოს და შვილდისტარი დაახალა მოსაკლავად. ერთბაშად დათვმა ამოიხედა ორმოდამ და დაიძახა: „ვინა ხარ, ქრისტიანი, მომარჩინეო!“ ეს რომ უთხრა თუ არა, მაშინვე მობრუნდა ეს ვაჟი უკან, მივიდა და ნახა, რომ დათვს ეკალი შერჭმოდა ფეხში, დასიებოდა, სტკიოდა და იმიტომ ღმუოდა. ამან რომ შვილდისტარი ესროლა, ფეხში მოხვედროდა, გამორწყოდა და იმის მადლობას უხდიდა. დათვმა უთხრა:

— რადგანაც შენ მე მომარჩინე, აი ამისთვის ჩემ ორ შვილს გიფეშქაშებ, წაიყვანე თან, სადაც გინდა გაუშვი შენი რაში, ესენი არ მოშორდებიან გვერდიდამ და არც არავინ უცხოს მიუშვებენ ახლოს. როდესაც ალვირს დაუჩხარუნებ, იმავ საათში მოგგვრიან რაშსაო. მადლობა გადაუხადა ვაჟმა, წავიდა თავის გზაზე და დათვის ლეკვებიც თან გაიყოლა.

ბევრი იარა, ცოტა იარა და მიადგა ერთ ბაღს. გადაახტუნა ამ ბაღში რაში, ხან აღმა აუშვა და ხან დაღმა. როცა კარგა ლამაზად გაათელინა ალაგი, ისევ გადმოვიდა უკან, გაიხადა ტანისამოსი, რაშს დააკეცა, მერე ძველი ტანისამოსი ჩაიცვა, ქუდის ჩაჩი დაიხურა, რაში საძოვარზედ გაუშვა, თითონ-კი გადავიდა და მებაღის ქოხში დაჯდა. ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა მებაღე, ნახა, რომ ბაღი სულ ერთიანად გაფუჭებული იყო, და ჰკითხა ვაჟს: ვინა ხარო? და ამან მიუგო: არ ვიციო. სადაური ხარო, და არ ვიციო. რა გქვიანო, და არ ვიციო. ერთის სიტყვით, რასაცა ჰკითხავდა, სულ იძახოდა: არ ვიცი და არ ვიციო. ამიტომ სახელადაც არ ვიცი უწოდეს.

ეს ბაღი ერთის ხელმწიფისა იყო და იმ ხელმწიფეს სამი ქალი ჰყვანდა. ერთხელ ეს მებაღე წავიდა და ხელმწიფეს მოახსენა:

— ბატონო ხელმწიფე, ჩვენი ბაღი ჩვენს იქ არ ყოფნის დროს ვიღაცას გაუფუჭებია ძალიან. ჩვენ რომ მივედით, იქ ერთი უცხო კაცი დაგვხვდა და რაცა ვკითხეთ, სულ იძახის „არ ვიციო.“ ერთის სიტყვით, ვერც სახელი გავიგეთ იმისი და ვერც გვარი. რას გვიბრძანებთ, დავითხოვოთ, თუ იყოსო?

ხელმწიფემ უთხრა:

— მაინც ხომ საჭირო იყო კაცი და იმსახურეთო.

მისცეს ამას სამუშაო და მართლაც ისე მუშაობდა, როგორც კარგი მუშა: არაფერს არა თაკილობდა, სუყველაფერს აკეთებდა. ერთხელ ხელმწიფის ქალებმა მებაღე დაიბარეს შინ და უთხრეს:

— სამი ისეთი ნესვი უნდა მოგვიტანო, რომ ერთი ძალიან მოწეული იყოს, მეორე შუათანა და მესამე ახლად თვალ-შესულიო.

წავიდა მებაღე და რა ნაირი ნესვებიც დააბარეს, ისეთი იშოვნა და მიუტანა. როდესაც სადილზედ დასხდნენ, ქალებმა მიიტანეს ეს ნესვები და სამივე მამას დაუწყეს წინ. ხელმწიფემ ბევრი უყურა ამ ნესვებს და სთქვა:

— ეს რა ზედი-ზედ მოყოლებულები არიან, ერთი ძალიან არის მოწეული, მეორე შუათანად და მესამე ახლად არის თვალ-შესულიო, ასე გონია განგებ იყოს არჩეულიო.

ქალებმა უთხრეს:

— ეგ ჩვენა ვართ: ერთი—უფროსია, მეორე—შუათანა და მესამეც—პატარაო.

ეს რომ სთქვეს, ხელმწიფეს მაშინვე გაეცინა და უთხრა: „აი თქვე ეშმაკებო, გათხოვება გინდათ განაო?“ ქალებმა ჩუმად ჩაიცინეს. კვლავ ჰკითხა მამამ:

— განა ეგ ეშმაკობა რომ არ გეხმარათ და ისე გეთქვათ, არ გაგათხოვებდითო? მაშ რადგანაც თქვენ მომაგონეთ თქვენი გათხოვება, საქმროებიც ამორჩეულები გყოლებათ, სამივემ მითხარით და სამივეს ერთად გაგათხოვებთო.

დიდმა ერთის ხელმწიფის შვილი დაასახელა, შუათანამ—მეორე ხელმწიფის შვილი და პატარამ კიდევ—თავიანთი ახალი მებაღე „არვიცია“. რასაკვირველია, ბევრი დაუშალეს მამამაცა და დებმაც პატარა ქალს, მაგრამ არ დაიშალა და სულ იმას გაიძახოდა, რომ თუ მიმცემთ იმას, ხომ რა კარგი, თუ არა-და—თავს მოვიკლავო.

რაკი აღარ დაიშალა, მამამ უთხრა:

— მეკი თვალით ნუღარ დამენახვები და რაც გინდა ქენი, წადი და სადაც გინდა, იქ იცხოვრეო.

დიდ ქალებს კარგი ქორწილი გადაუხადა და თავისთან დაასახლა, პატარა-კი წავიდა და ცალკე დაიწერა ჯვარი. ცოლ-ქმართ იქვე ახლოს ერთი ქოხი აიშენეს და იქ დაიწყეს ცხოვრება.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნა დუმილსა და მოსწრაფედ სიარულსა ეგოდენ იყო ხალხი იგი რომელ ანანურიდამ ვიდრე მუხრანის მინდვრამდე ვერსადა იხილევდი გზასა ცალიერსა, რომელსა ზედა არა ვიდოდნენ უმეტეს ქვეითნი ქალნი მორთულნი და ცოლნი წარჩინებულთანი გათენდა რა დღე ოთხშაბათი სეკდემბრის იბ, დავბრუნდი ანანურიდამ, მოველ თქვენთანა, გიხილე დედა ჩემი და შენ, შვილო შიო, მომავალი, წარგიყვანე მუნით უმეტეს მხარზედ მჯდომით და ხანდიხან ქვეითად მოსიარულე ვლეთ დღე ოთხშაბათი და ღამე იგი, ხუთს შაბათს მივედით სექტემბრის იგ, მთიულეთ ცხაოტ რამეთუ მუნ დაებანაკათ სამეფოს ფამილიას. და დედაშენიცა დაგვხდა მუნ შევიყარენით ერთად, მხოლოდ ცალიერნი და ტიტველნი რამეთუ უკეთუ წარმოგვეღო რაჲმე ქალაქით იგიცა ყოველი დაგვრჩა დუშეთს ურემსა ზედა დადებული. აქა მთიულეთსა შინა რაოდენიცა ხანი დავყავით გამოვიარეთ შიმშილი ფრიადი რამეთუ არა იყო პური, არამედ უკროსლა გამოვიზარდენით კორცითა და ცერცვითა. მივედით რა ხუთშაბათს ღამე იგი და დღე პარასკევი სექტემბრის იდ. დავყავ მუნ რამეთუ იყო დღესასწაული დიდი საუფლოჲსა და ცხოველს-მყოფელის ჯვარის ამაღლება

მეფეცა ირაკლი მობრძანდა მუნ და არავინ იყო მღუდელი დღესა მას გარდა ჩემსა მუნ ულოცე ცისკარი და მწუხრი თვინიერ ყოვლისა ცერემონიისა. გათენდა რა დღე შაბათი სექტემბრის იე. წარველ დუშეთს ნუ უკუჱ ბარგისა რაჲმესა ქვეშაგებისა ტანისამოსისა ანუ სხვა რაჲსამე შემძლო მოტანა, მიველ რა დუშეთს ვერღარა-რა ვიხილე ბარგთა ჩემთაგანი რამეთუ აეკლოთ და წარეღოთ ყოველივე. არათუ მარტო ჩემი მეფის ძის იულონისა ყოველივე რაცა აქვნდა, კათალიკოზისა ყოვლის შესამოსლით და სვეტის ცხოვლის სამკაულით დუშეთს შინა მდგომთა, ერთა უმეტეს სომეხთა და სხვათა გარემოს მყოფთა მახლობელთა დაბათაგანთა. მოველ რა და ვიხილე იავარ ქმნილი დარჩენილი მუნ ნაქონები ჩემი და სხვათა ყოველთ წარმოველ ცალიერი. თუ რანი დავკარგე მუნ არღარა განვაგრძობ გარდა ამის არამედ გაუწყებთ მოკლედ რომელ რაჲცა დამრჩა ქალაქს სახლი ანუ სხვა იგი ყოველი წარტყვენილ იქმნა და წარმოღებული თან ქვეშაგები ლოგინი ჭურჭელი სპილენძისა და სხვანი ნივთნი ვიდრე ოც-და თხუთმეტის თუმნისადმდე ანუ მეტი აღიკლეს დუშეთს წარმოველ რა დაკარგულთა ამათ ნივთთათვის შეწუხებული მოველ კვალად ვიდრე თქვენთანა მთიულეთს. მას ღამესა ვლოცულობდი რა მწუხრს მეფის ძესა იულონთან ლოცვასა ზედა შემიწუხდა გული მწუხარებისაგან რომელ ძლივ მობრუნებულ ვიქმენ.

დავყავით ვიდრე. კზ. სექტემბრამდე მთიულეთს სხვათა და სხვათა ადგილთა. დღესა ამას კზ. ხუთშაბათს წარმოვედით ნაზღაიძის კარიდამ მას ღამესა მოვედით ამირიძის კარს მეორეს დღეს პარასკევს ვლეთ საღამომდინ დავრჩით ქალასა შინა შაბათს სექტემბრის კთ. მოვედით ანანურს ქვეით ერთს მცირეს სოფელში და კვირას სექტემბრის ლ. ჩამოვედით დუშეთს: ვითარ მოგითხრა შვილო ჩემო შიო თუ ვითარის მწუხარებით ვლევით ეს გზები იქნება გახსოვდეს და დიახ ყმაწვილი იყავ იქნე არ გახსოვდეს ხან ქვეითს გატარებდი და ხან მხარზედ გისვემდი; აგრეთვე ბებია შენი და დედა შენი მიდიოდნენ დალალულები. ცხენი არ მეშოებოდა და სხვა გზა არსაით მქონდა. ველარ გამეგო, თუ რომელი მწუხარება მეწუხნა: ქვეყნის წახდენა, რაც გვქონდა და მებადა იმის დაკარგვა და აკლება, თქვენი მშივრების და ქვეითების სიარული, ჩემის სიმავრის და სიდედრის—პაპაჲ შენის და ბებია შენის დაკარგვა, რომ ქალაქში დარჩნენ და სრულებით დაიკარგნენ, თუ სხვა და-სხვა შეწუხება.

მოვედით რა დუშეთს, მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი და ყოველი ფამილია სამეფო, დავჰერინებინა მეფეს რამდენიმე ბარგისა ამკლებნი ავაზაკნი და მოეტანათცა ნივთნი რომელიმე უმეტეს სამკაულნი. სვეტის ცხოვლისანი. და უკეთუ მოჰქონდათ ქურდთა და ავაზაკთა რაჲმე თვინიერ ეკკლესიის ნივთისა აწ იკლებდნენ იასაულნი დაყენებულნი მეფისაგან და არა ანებებდნენ პატრონთა თვისთა უკანონობისა ძლით ქვეყანისა ჩვენისა აქ ვიპოვე დიახ მცირე რამ, ჩემის დაკარგულის ნივთებიდამ. წიგნებიდამ პარაკლიტონი, სამოციქულო, კურთხევანი კონდაკი, და ალექსანდრე მაკედონელის ისტორია. ქვეშაგებიდამ ერთი ჯეჯიმი, სპილენძიდამ ტაშტი და ორი სინი, და სხვა ვერა რა, დავიყავით მცირე ხანი შეწუხებით მუნ: მეფე სამეფოს ფამილიით კახეთს წაბრძანდა. თვისი შვილი იულონ ქართლში გამოგზავნა წარმოვყევ მუნიდამ მეფის ძეს იულონს, პირველად მოვედით მეჯვრისხევს, კვ დეკემბერს ჩავედით გორს. ზამთარი იგი განვლევით მუნ გორის ციხეში დგომით და მეფის ძეს იულონთან სამსახურით. იქნება შენც გახსოვდეს, შვილო შიო, და იქნება არ გახსოვდეს, ამ ჟამებში რამდენი მწუხარება გვქონდა არაფერი სასმელ საჭმელზედ მოსახმარები ჭურჭელი არა გვეშოვებოდარა. ქვაბი რომ გვეშოვნა მოსახარშავათ ჯამებს ველარ ვიშოვნიდი აგრეთვე სხვას ნივთებს რაღა გავაგრძელო. ან უქვეშაგებობა ან უტანისამოსობა და ან სხვას ნივთებისაგან მოკლება რომ აღარა გვქონდარა და ყველა დავკარგეთ ეს კმარა:

ამავ წელიწადს ეს მდგომარე ოქტომბერი რომ გავიდა. ნოემბერში გარდმოვიდა რუსის ჯარი საქართველოს მფარველათ ორი ბატალიონი ამათი კამანდირი იყო პოლკოვნიკი სირეხნოვი, პირველად დადგნენ მუხრანს შემდგომად გორს და ტფილისს: წელიწადსა. 1796. ქორონიკონს უპდ. თთვესა შინა იანვარსა წარველ დუშეთს ბრძანებითა უგანათლებულესის მეფის სძლის სალომესითა. მეფის ძეს ვახტანგთან ნუ უკუჱ ბარგთა ჩემთაგანი მეპოვნა რამე, მუნ ვიპოვე წიგნები ჩემი ღრამმატიკა ლოღიკა მეტაფისიკა ითიკა და ფისიკა, სხვა ვერა რაჲ:

ჰქმნა უჯეროჲ ერმან დუშეთისამან და მახლობელ მისსა მდგომმან აკლებითა მრავალთა წარჩინებულთა გვამთა ბარგისათა და ნივთთა ეკკლესიისათა და შემდგომად კვალად არღარა გამოჩენიათ რომელ მრავალნი ნივთნი ეკკლესიისანი არიან დღესაც დაკარგულ მათ შორის და სხვას რაღას გამოაჩენდნენ. ესე ყოველი იქმნა ერთაგან ბუნებურთა:

არა უწყი მიიწერების საქმე ესე მაკრობელსა და მფლობელსა მათსა ზედა ანუ არა თვით [illegible] შენ მკითხველო რამეთუ მე არა აღვსწერ ანუ არა ძალმიძს: მოველ მუნიდამ კვალადვე გორს ვერარას ბარგთაგანისა მპოვნელი თვინიერ წიგნთა ზემო ჰკსენებულთა.

## უცხოეთი

სერბია. დიდი ყურადღება აქვს ეხლა მიქცეული სერბიას და იქაურს ამბებს. მთელი ევროპა და მისი ჟურნალ-გაზეთობა გაფაციცებული ადევნებს თვალ-ყურს სერბიის საქმეებს. სერბიაში ამ ჟამად ორი საყურადღებო ამბავია—ერთი ისა, რომ არჩევნები გათავდა სკუპშჩინისა, და მეორე ისა, რომ დედოფალი ნატალია, დიდის ხნით მოშორებული სერბიას და თავის ერთად-ერთს მეფე-შვილს, დღეს ბელგრადში იმყოფება.

სკუპშჩინის არჩევანებზე გაიმარჯვეს რადიკალებმა, ანუ დღევანდელის სამინისტროს მომხრეებმა. მოწინააღმდეგე დასი, სახელდობრ დასი ლიბერალებისა, დამარცხდა არჩევანებზე და მხოლოდ 16 დეპუტატი ჰყავს ახალს სკუპშჩინაში, მაშინ-როდესაც მთავრობის მომხრე რადიკალების რიცხვი 100-ზე მეტია. ლიბერალებ შორის ურევიან ისეთი დინჯნი და გონიერნი კაცნი, როგორც ნამინისტრალი ავაკუმოვიჩი, გენერალი ლეშანინი, ადვოკატი რიბორაცი და ნამინისტრალი ვასილიევიჩი. ყველა ესენი დიდად პატივცემულნი არიან არა თუ თავიანთ მომხრეთა შორის, არამედ თავიანთ დასს გარეშეც; ყველანი გამოცდილნი საპარლამენტო ორატორნი არიან, ისე რომ ნიჭითა და გამოცდილებით რადიკალებში ამათ ბადალი არა ჰყავთ, მაგრამ მაინც 16 ხმით სულ ვერას დააკლებენ რადიკალთა დასს და გრუიჩის სამინისტროს.

მეორე ამბავი მართლა დიდი ამბავი შეიქნა სერბიისათვის. თითქმის წელიწადი იქნება, რაც დედოფალი ნატალია მოაშორეს სერბიას. მას აქეთ დედოფალი რუსეთს იმყოფებოდა. მისმა მეუღლემ მეფე მილანმა მოინდომა ყოველივე კავშირი გაეწყვეტნა დედოფალთან და კანონიერის წესით განქორწინებოდა. ასტყდა ამაზე დაუსრულებელი დავიდარაბა, რომელიც იმით გათავდა, რომ ბოლოს მილანმა მაინც თავისი გაიყვანა და სამეფო ტახტზედაც უარი სთქვა. მილანმა ტახტი თავის მცირე-წლოვანს შვილს ალექსანდრეს დაულოცა, დააწესა რეგენტობა და რეგენტებს პირობა ჩამოართვა, რა პირობით უარ-ვყოფ ტახტსა, ან რა პირობით შეიძლება ჩემის შვილის დედას მისცეთ ნება თავისის შვილის ნახვისაო.

ამ კვირია მივიდა დედოფალი ბელგრადში. ხალხი დიდ-ძალი მიეგება და დიდის თანაგრძნობით მიიღო სერბიიდამ განდევნილი დედა თავის მეფისა. რეგენტებმა და საზოგადოდ მთავრობამ-კი საიმისო დიდი თანაგრძნობა არ აღმოუჩინა და ისე მოახერხა, რომ დედას შვილიც არ ანახვეს იმ დღეს. მთავრობა ამაში იმითი მართლულობს თავს, რომ ისეთი პირობა გვაქვს შეკრული მილანთან და ეს პირობა ახალს კონსტიტუციაში დაწერილებით არის მოხსენებულიო.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ევროპაში ცოტა არ იყოს შიშობენ სერბიისათვის ეფიქრებათ, რომ დედოფლის იქ ყოფნამ უსიამოვნობა არა დაჰბადოს-რა. ევროპის ზოგიერთი გაზეთები ურჩევენ დედოფალს საზოგადოდ პოლიტიკაში არას გზით არ გაერიოს და, თუ უნდა შეირჩინოს თანაგრძნობა ერისა და სიყვარული ქვეყნისა, დედობრივს წრეს არ გადასცილდესო. როცა დედოფალი ნატალია ბელგრადს მიდიოდა, იმ დროს მეფე მილანი კარლსბადში იყო და იქიდამ ბელგრადში ეპირებოდა წასვლას. წასვლის წინად უთხრა ერთის გაზეთის თანამშრომელს: დედოფალი მეტის-მეტად ავი ადამიანია. რაკი ჩემს სურვილს არ დაემორჩილა და რეგენტების თხოვნაც არ შეიწყნარა, არამც თუ ეხლა, იქნება თავის სიცოცხლეშიაც ველარ იხილოს თავისი შვილიო. თქვენ არ იცით, რა თავ-მოყვარე და ამპარტავანი ადამიანია დედოფალი. იმას პოლიტიკაში უნდა წილი დაიდოს და გავლენა იქონიოს, მაგრამ მე დავიფარავ ახალგაზდა მეფეს იმის გავლენისაგანაო.

ბოლგარია. ბოლგარია ძალიან დაუმეგობრდა ავსტრი-ვენგრიას და ყველაფერში იმას ეკითხება და იმის იმედითა და შემწეობით მოქმედობს. სამაგიეროდ, ავსტრი-ვენგრია ცდილობს, რომ დიდმა სახელმწიფოებმა პრინცი ფერდინანდი ბოლგარიის კანონიერ მთავრად მიიჩნიონ. როგორც ეტყობა, გერმანიაც დაუყოლიებია ავსტრიას და მხოლოდ პორტის დანხმობაა საჭირო. პორტის დათანხმებაც არ გასჭირდებოდა, რომ რუსეთი არ იყოს ამისი წინააღმდეგი. ურუსეთოდ-კი ამ საქმის შესახებ შეუძლებელია გაკეთდეს რამეო.

— ბოლგარიას ფული უნდა ესესხა ამერიკელ ფულის პატრონთაგან, საქმე სულ გაკეთებულიც იყო, მაგრამ ახლა იწერებიან გაზეთები, რომ სესხად ფულის აღება ბოლგარიამ ველარ მოახერხაო.

## წვრილი ამბები

სპარსეთისა და საფრანგეთის 1885 წ. ხელ-შეკრულობაში მთელი ხარისხია შენახული სპარსეთის შაჰისა. აი ეს ხარისხი: „მისი უდიდებულესობა, ამაღლებული ვითარცა ცთომილი ვარსკვლავი სატურნი; მბრძანებელი, რომელსაც მზე უძღვის წინ, მზე, რომლის სიმშვენიერე და დიდებულება ვარსკვლავით მოჭედილის ცის ბრწყინვალებას უდრის; ძლიერი მპყრობელი, რომლის ჯარი ისევე მრავალია, როგორც ცაზედ ვარსკვლავნი; შემძლებელი, მდიდარი და თვითმპყრობელი იმპერატორი მთელის სპარსეთისა“...

— ამერიკის შეერთებულს შტატებში ერთი ახირებული ქორწინება მომხდარა. ახალგაზდა ცოლ-ქმარს, შეყვარებულთა და ახლად ჯვარ-დაწერილთ, განუზრახავთ ჰაეროსტატით გასეირნება, ჰაეროსტატიც მოუმზადებიათ ამისთვის და ნავი ჰაეროსტატისა თეთრის ატლასით ლამაზად მოურთავთ. მორთული ნეფე-პატარძალი ამ ნავში მდგარან, აქ დაუწერიათ ჯვარი და ჯვარ-წერის შემდეგ ჰაეროსტატიც აუშვიათ. ოთხს საათს შემდეგ ჰაეროსტატი მშვიდობიანად ჩამოშვებულა დედამიწაზედ, ახლად ჯვარდაწერილნი დაბრუნებულან თავისის ახირებულის მოგზაურობიდგან და სახლში წასულან.

— ნიუ-იორკში დაუბეჭდიათ სია ყველა მდიდარ ამერიკელ ქალებისა. ამ სიაში მოყვანილია სახელი და გვარი ოცდა-თვრამეტის ქვრივის დედაკაცისა, რომელთა სიმდიდრე ერთიანად ერთს მილიარდსა და ორმოც-და-ათ მილიონს უდრის; 14 გაუთხოვარის ქალისა, 70½ მილიონის შეძლების პატრონთა. სულ 62 ამერიკელს ქალს ერთი მილიარდი და 745 მილიონი შეძლება აქვთ. ყველაზედ შეძლებულად ითვლება თურმე ორი ქვრივი ამერიკელი დედაკაცი: ერთია გრინი, რომელსაც 200 მილიონი შეძლება აქვს თურმე, და მეორე—გარრეტი, 100 მილიონის შეძლების პატრონი.

— ყველაზედ დიდის ხნის გაზეთი, როგორც ვიცით, ქვეყნის პირზედ პეკინის გაზეთია, რომელსაც აგერ უკვე 1,000 წელიწადი შეუსრულდა არსებობისა. ამას წინად ეს გაზეთი იკვეხიდა თავისს სიბერეს და თან დაუმატა თურმე თავის მოსაწონებლად, რომ ამ ათასის წლის განმავლობაში მთავრობამ ჩვენს 1,900 თანამშრომელს წააგდებინა თავიო.

— ამერიკის გაზეთები ერთს საოცარს ამბავს გადმოგვცემენ, რომელიც მომხდარა ჩიკაგოში და რომელსაც დასწრებია 2,000-მდე კაცი. მიჩიგანის ტბის ნაპირზედ უშველებელი პიკნიკი იყო თურმე გამართული. ამ პიკნიკს დიდ-ძალი ხალხი დასწრებია და თავი მოუყრიათ აგრეთვე სხვა-და-სხვა კაჭრებსაც. კაჭართა შორის მისულა ერთი იტალიელიც ფერადის ჭაერში საფრენელ ბუშტებით. ყმაწვილები შემოჰხვევიან ამ კაჭარს და დიდი კაჭრობა ჰქონია. კაჭრობაში იტალიელს უეცრად გაშვებია ხელიდგან ბუშტები, ჭაერში ასულა და თან აუყოლებია პაწია ორის წლის გოგო, სახელად სოფიო შვაბი, რომელსაც ფეხი ბუშტების თოკებში დახლართვია და თავდაყირა აუტაცნია მაღლა. ყველა იქ მყოფნი ძალიან შეშინებულან, ყმაწვილის დედას გული წასვლია და ყმაწვილს ჭაერში კივილ-წივილი დაუწყია, მაგრამ პატრონი-კი ჯერ-ჯერობით არავინ ყოფილა. ამდენს უბედურებას ის მიემატა თურმე, რომ ქარმა ბუშტები ყმაწვილიანურთ ტბისკენ გააქანა და ყველამ ყმაწვილი დაღუპულად ჩასთვალა. ამ დროს ერთი ყმაწვილი კაცი თოფს ესროდა მიზანში თურმე, გაიგო ეს ამბავი და გმირულად მოინდომა ყმაწვილის განთავისუფლება. ჩავარდნილა ეს ყმაწვილი კაცი ნავში, ბუშტებისკენ წასულა და როცა მიახლოვებია, დაუწყია ბუშტებისთვის სროლა. ტბის ნაპირას თავ-მოყრილი საზოგადოება დიდის გაფაციცებით ადევნებდა თურმე თვალ-ყურს ამ ყმაწვილს კაცს. ამ კაცმა არც ერთხელ არ ააცილა ტყვია ბუშტებს და როცა დასეთქა ბუშტები და ყმაწვილი პირს ჩამოვარდა, ახალგაზდა კაცმა ჰაერშივე მიატანა ხელი თურმე, დაიჭირა და დედას მიუყვანა უვნებლად. თქმა აღარ უნდა, რომ ეს ახალგაზდა გმირი, რომლის გვარიც კოხია, დიდის ამბით მიიღიათ მაყურებლებს.

## დეპეშა

27 სექტემბერი

კოპენჰაგენი. დღეს დიდი სამეფო ნადირობა იყო გამართული. ნადირობაში მონაწილეობას იღებდნენ ხელმწიფე იმპერატორი, პრინცი უელისა, მეფე და მემკვიდრე პრინცი.

კილი. აქ მოვიდა ინგლისის ესკადრა. ესკადრის უფროსები მიიღო იმპერატორმა ვილჰელმმა, რომელიც წინა დღით ჩამოვიდა.

ლონდონი. დღეს დილით ბულანჟე ლონდონიდგან კუნძულს ჯერსიზე მივიდა.

ბელგრადი. დღეს დედოფალს ესტუმრა ბელიმარკოვიჩი. ბელიმარკოვიჩს დედოფლისათვის უნდა გადაეცა მართებლობის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დასრულდეს მილანისა და დედოფლის უთანხმოება. შემდეგ დედოფალს ესტუმრა ტაუშკევიჩი. ბელიმარკოვიჩმა ვერა გააწყორა, დედოფალმა უარ-ჰყო მართებლობის წინადადება. ამ ჟამად მინისტრთა საბჭოს თათბირი აქვს რეგენტების თავმჯდომარეობით. მაინცა და მაინც იმედი აქვთ, რომ საქმე მორიგებით გათავდება. ამბობენ, დედოფალი თანახმაა პოლიტიკაზე ხელი აიღოს და ბელგრადიდგან წავიდეს მილანის დაბრუნებამდე, მაგრამ პირობაზე ხელის მოწერას-კი უარ-ჰყოფსო. იმასაც ამბობენ, რომ დედოფალი თავისს შვილს ამ სამს დღეში ჰნახავსო.

28 სექტემბერი

პეტერბურგი. გუშინ გაიხსნა უმაღლესი დედათა კურსები საერო განათლების მინისტრისა და სხვა წარჩინებულ კაცთა თანადასწრებით. საკმაოდ ბლომად მიართვეს ქალალდები და ითხოვდნენ კურსებზე მიღებას. მიღებულ იქმნა 144 ქალი. სწავლა დღეს დაიწყო.

კოპენჰაგენი. ხელმწიფე იმპერატორი გუშინ ღამის $11^1/_2$ საათზედ წაბრძანდა ფრედენსბორგიდამ კოპენჰაგენს, საცა ჩაბძანდა იახტაში «Держава». ფრედენბორგის ვაგზალამდე მისი უდიდებულესობა გააცილეს: ხელმწიფე იმპერატრიცამ, მემკვიდრე ცესარევიჩმა, დანიის მეფე-დედოფალმა, უელის პრინცმა და პრინცესამ.

სოფია. პრინცი ფერდინანდი ებენტალში წავიდა თავის დედის, პრინცესა კლემენტინას სანახავად.

პეტერბურგის ბირჟა, 22 სექტემბ.

| | მყიდველნი ხა. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 66 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $153^1/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $261^1/_2$ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | $238^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | $98^1/_4$ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | $83^3/_4$ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . $3^1/_2$ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ $3^1/_2$ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში
ახალი ქართული წიგნი:

## ქართული თეატრი
(1879—1889)
ვალერიან გუნიასი.

შინაარსი:

I. სახსოვრად ქართულის სამუდამო სცენის ათის წლის თავისა. II. წინასიტყვაობის მაგივრად. III. ქართულის თეატრის დასაწყისი და იმისი თავ-გადასავალი. IV. ქართული სამუდამო სცენა (1879—1889). V. რა ეჭირვება ქართულს თეატრს. VI. ქართული დრამატურგები. VII. ქართული არტისტები. VIII. დრამატიული ხელოვნება. IX. სასცენო ხელოვნება. X. თეატრის მნიშვნელობა.

ფასი 40 კაპ.

(10—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

მან. კაპ.
ყანჩა-დარკ. . . . . . „ 5
ბერლინის გარემოცვა. . „ 5
ქართული თეატრი . . „ 40

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

მან. კაპ.
ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . „ 30
პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა „ 10
გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავე საზოგადოების გამოცემა . . „ 20
გრამატიკა, ა. ქუთათელაძისი . . . . . „ 40
გრამატიკა, ქორდანიასი . „ 55
მიბაძვა ქრისტესი, უყდოდ. „ 40
ყდით . . . . . . „ 70
ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . „ 70
ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . „ 20
ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . „ 10
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . „ 60
თორნიკე ერისთავი . . . 1
საყმაწვილო ამბები . . . „ 40
ნინო ორბელიანის ლექსები „ 40
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. „ 80
სურამის ციხე . . . . „ 20
გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . „ 25
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . „ 40
თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . „ 50
მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . „ 25
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . „ 40
დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . „ 15
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . 3 „
ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . „ 50
სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ გგ. გაბაშვილისა . . „ 10
გულივერის მოგზაურობა . „ 50
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . „ 15
ბუნების მოყვარენი, ls. მესტიაშვილისა . . . . . . „ 15
თამარიანი, გუგუნავასი . . „ 50
ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . 3 „
მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . „ 5
დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . „ 5
თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . „ 50
პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . „ 10
გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . „ 50
ნ. ბარათაშვილის ლექსები „ 40
სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა . „ 60
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . ,, 30
რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე. . . . 3 60
სამ გვარი სიყვარული, აკაკისა „ 30
ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . „ 20
გულივერის მოგზაურობა . „ 50
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . „ 30
ვაზის ობი . . . . . . „ 10
ლოცვანი, ღამბაშიძისა . . „ 30
ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . 1 „
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. ,, 40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . . 1 50
II ნაწ. . . . . . . 1 50

გერმო ექიმი
## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნეგრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (14—8)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი, რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.



# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ
ისყიდება
„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.


Доз. ценз. Тифлисъ 28-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т.Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე